საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №68
2021 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლებისა და „ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (დანართი №6) მე-9 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) მე-5 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„მუხლი 5^1. ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასური

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“:

„ა) ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე დაშვების საფასური 6 000 ლარი/წელი - 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე;

ბ) ელექტროენერგიის დღიურ ბაზარზე დაშვების საფასური 2 000 ლარი/წელი - 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე;

გ) ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერგიისთვის საფასური 0.141 ლარი/მგვტ.სთ - 2022 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 1 იანვრამდე;

დ) ელექტროენერგიის დღიურ ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერგიისთვის საფასური 0.120 ლარი/მგვტ.სთ - 2022 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 1 იანვრამდე;

ე) ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე დამატებითი პორტფელის მომსახურების საფასური 1 000 ლარი/წელი - 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე;

ვ) ელექტროენერგიის დღიურ ბაზარზე დამატებითი პორტფელის მომსახურების საფასური 1 000 ლარი/წელი - 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

კომისიის წევრი **გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი **გიორგი ფანგანი**

კომისიის წევრი	მაია მელიქიძე
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია